ბოროტსა სძლია კეთილმან...

გამარჯვების მეორმოცე გაზაფხულია!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР, И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

9 მაისი, ხუთშაბათი, 1985 წ.
№ 88 (8899) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ადამიანის გონებას ჯერ განაჩენი არ გამოუტანია ომის მოსურნე ერისა თუ პიროვნებისთვის. და თუ ოდესმე მოინდომებს, თეორიულად მაინც, ანგარიში გაუსწოროს მათ, ძალიან გაუჭირდება ზომიერების დაცვა, ადამის მოდგმისთვის დამახასიათებელი ლმობიერების გამოჩენა, მით უმეტეს, შეწყალება, რადგან არ არსებობს ქვეყნად უფრო დიდი ბოროტება და საშინელება, ვიდრე ომია...

მეორმოცე ულრუბლო გაზაფხულს ვზეიმობთ, მეორმოცე მშვიდი ცხრა მაისია...

ღრმად მოხუცებულთათვის ომი სიცივე, შიმშილი და, რაც მთავარია, შვილის ან შვილების უღმერთო სიკვდილია, სამოცს გადაცილებულთათვის — ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების გაუთავებელი ზუზუნი, თვალწინ აფეთქებული ყუმბარა და ნაფლეთებად ქცეული მეგობრის სხეული, ომის დროს დაბადებულთათვის — ფრონტზე დაკარგული მამა, შავკაბიანი დედა და ნაღვლიანი ბავშვობა, ახალგაზრდებისთვის — მირზა გელოვანის პოეზია, „ჯარისკაცის მამა", „ღიმილის ბიჭები", „კაპიტანი ბუხაიძე", ძმათა სასაფლაოები, ობელისკები, ობელისკები, ობელისკები...

მეორმოცე ულრუბლო გაზაფხული დამდგარა, მეორმოცე მშვიდი ცხრა მაისია...

ოცი მილიონი სიცოცხლის ფასად დაჯდა ეს მზიანი დღე. სიცოცხლეს ვამბობთ, ყველაზე ძვირფასს, თორემ რამდენი ლექსი და სიმღერა დარჩა დაუწერელი, რამდენი სიყვარული — გაუმჟღავნებელი, რამდენი სახლი — აუშენებელი, რამდენი წიგნი — დაუმთავრებელი, რამდენი ფორმულა — ამოუხსნელი, რამდენი მწვერვალი — დაულაშქრავი, რამდენი რეკორდი — დაუმყარებელი...

მეორმოცე ულრუბლო გაზაფხული მოსულა, მეორმოცე მშვიდი ცხრა მაისია...

გულით გვიხარია ამ დღის გათენება, გვიხარია და თანაც სევდა გვერევა, სევდა და ნაღველი იმათ გამო, ვინც ამ გაზაფხულს ვეღარ მოესწრო, ვინც ჩვენს ბედნიერებას შესწირა ჭაბუკი სიცოცხლე.

ერთს ვნატრობთ მხოლოდ: ნურასოდეს გამეორდება ის ქარ-ცეცხლი, ჩვენი შვილები ნურასოდეს ნახავენ ომის საშინელებას...

მეორმოცე ულრუბლო გაზაფხულს ვზეიმობთ, მეორმოცე მშვიდი ცხრა მაისია...

„ელბრუსიადა - 85"

კავკასიონის უმაღლეს მწვერვალ იალბუზზე (5642 მ) მოეწყო დიდი საერთაშორისო ალპინიადა „ელბრუსიადა-85", რომელიც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავს მიეძღვნა. მწვერვალზე ავიდნენ თბილისელი, ქუთაისელი და მესტიელი მთამსვლელებიც. ისინი საქართველოს ალპიური კლუბის, „ბურევესტნიკისა" და „კოლმეურნის" წარმომადგენლები იყვნენ.

ამ ასვლისადმი მიძღვნილ მასალას შემოგთავაზებთ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში.

სურათზე: „ელბრუსიადა-85"-ის მონაწილეთა ერთი ჯგუფი მწვერვალ იალბუზზე.

ავთანდილ ბურასაშვილის
(„ლელოს" სპეც. კორ.) ფოტო.



ბერლინი. 1945 წლის 30 აპრილი. გამარჯვების დროშა — რაიხსტაგზე!

სამშობლოს მარადიული ჯარისკაცი

გამარჯვების დროშა რაიხსტაგზე — ოთხწლიანი საშინელი ომის დასასრულის მაცნე, ფაშიზმის კლანჭებისაგან გამოხსნილი მსოფლიო, გადარჩენილი ცივილიზაცია... ეს ცნობა ელვის სისწრაფით აიტაცა მთელმა პლანეტამ.

სიხარულისა და სიამაყის გრძნობით, ცრემლმორეულნი დასცქეროდნენ ომის სისასტიკისაგან გატანჯულ-განაწამები ადამიანები ისტორიულ ფოტოსურათს, რომელმაც მთელი მსოფლიოს პრესა შემოიარა — გამარჯვების დროშა რაიხსტაგზე!

ამ ისტორიული მისიის აღსრულება წილად ხვდა ორ საბჭოთა ჯარისკაცს — მელიტონ ქანთარიას და მიხეილ ეგოროვს — ქართველი და რუსი ხალხის ორ მამაც რაინდს.

და დააბიჯებს ჩვენს გვერდით ცოცხალი მატიანე, ისევ ჭაბუკურად მხნე, ახოვანი, უდრეკი სულის კაცი, სამშობლოს მარადიული ჯარისკაცი მელიტონ ქანთარია — 40 წლის ლეგენდა, მეშვიდე ათეულ წელში გადამდგარი გმირი.

„ჩვენ არ დაგვიმარცხებია ჩვენივე მტერი, ბერლინის, გერმანიის, მთელი მსოფლიოს მტერი. ეს ჩვენს მაგივრად სხვამ აღასრულა" — იტყვის ფაშიზმზე საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ ცნობილი გერმანელი მწერალი ჰენრიხ მანი.

მხედარი და მეომარი — ამ სიტყვებში ქართველი კაცის ბედია ჩაქსოვილი. მელიტონ ქანთარია ჭაბუკობიდანვე მხედარი იყო, მეომარი იყო, წინაპართა სისხლით მორწყულ მიწა-წყალზე დააგელვებდა ფაფარაშლილ მერანს. ეტყობა, იმთავითვე საგმირო საქმეებისათვის აქეზებდა მხედარ-მეომარ მამა-პაპათა გენი — სამშობლოს, თავისუფლების, სამართლიანობის დაცვისათვის, მტერზე შურისძიებისათვის... და აკი, ასწია კიდეც — გამარჯვების დროშა რაიხსტაგზე!

თენგიზ გაჩეჩილაძე.

ბოროტსა სძლია კე

ყველაზე ღირსეული ჯილდო

დღესაც მადლიერებით იგონებს ომამდელი და ომის შემდგომი წლების თაობა. იგონებს, როგორც ქართული სპორტის ერთგულ მოჭირნახულეს.

თედორე სხირტლაძე — საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი დირექტორი, სასოფლო სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" ჩამოყალიბების ერთ-ერთი თაოსანი და მისი პირველი თავმჯდომარე, სხვადასხვა წლებში რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზკულტურისა და სპორტის კათედრის გამგე... მაგრამ მის ცხოვრებაში, ისევე როგორც ორმოციანი წლების თაობის ცხოვრებაში, ქვეყნისა და ხალხის მშვიდობიანი სამსახურის წლების გარდა იყო მრისხანე მეორე მსოფლიო ომის პერიოდი.

თედო სხირტლაძე ომის პირველივე თვეებიდან სევასტოპოლის დამცველთა შორისაა — 388-ე დივიზიის ერთ-ერთი ნაწილის კომისარია. 1941 წლის დეკემბერში ორივე ფეხში დაიჭრა, მერე ისევ სპორტულ ფრონტს დაუბრუნდა. 1942 წლიდან საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტს ჩაუდგა სათავეში. მაინც ომი იყო უპირველესი საზრუნავი. რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები, სპეციალისტები ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ არმიის რეზერვის მოსამზადებლად, ტარდებოდა გასამხედროებული შეჯიბრებები. თედო სხირტლაძის თაოსნობით შეგროვდა ორი მილიონი მანეთი ესკადრილია „საქართველოს ფიზკულტურელის" ასაგებად.

„წითელი ვარსკვლავის ორდენი", მედლები „სევასტოპოლის დაცვისათვის", „კავკასიის დაცვისათვის", „საბრძოლო დამსახურებისათვის", „შრომითი მამაცობისათვის"... ასეთია ომისა და მშვიდობიანი შრომის ფრონტზე მოპოვებული ჯილდოები, რომელთა შორის მაინც გამორჩეულად ბრწყინავს ყველაზე ღირსეული ჯილდო — ხალხის სიყვარული.

თენგიზ თოდაშვილი.

მამულო, შენთვის მოვკვდები...

გმირობას ერთი მტკიცე და ურყევი კანონი აქვს. ეს კანონი ყველაზე ნათლად მამულის, ხალხისა და სიმართლის სიყვარულშია გამოხატული. კაცი რომ საგმირო საქმეს შეეჭიდება, მას უსათუოდ ამისი შინაგანი მოთხოვნილებაც უნდა ჰქონდეს. თორემ გმირობას ვერც ძალდატანებითა და ვერც ბრძანებით ვერ ჩასდენ. და კიდევ ერთი — გმირობას არა აქვს ასაკი, ისევე როგორც არა აქვს ასაკი დიდ სიყვარულსა და სიძულვილს.

ომისდროინდელ ძუნწ ქრონიკებში ერთი ქართველი ყმაწვილის გმირობის ამბავიც არის მოთხრობილი.

ვახტანგ ლეჟავას ოცეული სადღაც შორს კარპატებთან, მტრის ალყაში მოემწყვდა. მებრძოლები არ გატყდნენ, იერიშს იერიშზე იგერიებდნენ, მაგრამ, მერე, როგორც უთანაბრო ბრძოლაში ხდება ხოლმე, ტყვია-წამალი შემოაკლდათ, ნაღმები გაუთავდათ. მათ, ვინც ცოცხალი დარჩა, გერმანელებმა იარაღის დაყრა და დანებება შესთავაზეს. ლენინური კომკავშირის აღზრდილმა ვახტანგ ლეჟავამ უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და გაკვირვებული მტრის თვალწინ ზედ ფეხქვეშ ხელყუმბარა აიფეთქა. ახლო მყოფი არც ერთი გერმანელი ცოცხალი არ გადარჩენილა.

ეს მოხდა 1943 წლის თებერვალში. გვარდიის ლეიტენანტი ვახტანგ ლეჟავა მაშინ ოცი წლის ყმაწვილი იყო. სათქმელად ადვილია, ფეხქვეშ ხელყუმბარა აიფეთქაო... მაგრამ, როცა კაცს მტრის სიძულვილი და ზიზღი ძვალრბილში ასე აქვს გამჯდარი, ცხადია, დანებებასა და ტყვედ ჩავარდნას სიკვდილს ამჯობინებს.

ადამიანის ყოველგვარი საქციელი გარკვეულ ლოგიკას უნდა ექვემდებარებოდეს. უმიზეზოდ და უმიზნოდ ცხოვრებაში არაფერი ხდება. სამშობლოს სიყვარულსა და ერთგულებას მეტწილად ადამიანის პატრიოტული ვალი განსაზღვრავს, მტრის სიძულვილსა და თავგანწირვას — ბოროტებისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი. ამ ლოგიკის კანონებით თუ ვიმსჯელებთ, 1943 წლის თებერვალში კარპატებთან განსაკუთრებული არაფერი მომხდარა.

მაგრამ იგი მაშინ სულ რაღაც ოცი წლის ყმაწვილი იყო, ამაყი და ბედნიერი, მხიარული და ცხოვრების სიკეთეს გულუბრყვილოდ მინდობილი. მას და ათასობით მისთანას ჯერ კიდევ ყველაფერი წინ ჰქონდათ, მაგრამ მათ არ უნდოდათ საკუთარი თვალით ენახათ მოძალადის სიხარული, არ უნდოდათ, რომ მტრის ბინძურ ჩექმას ეთელა მათი საყვარელი მიწა. და რაკი მამული შველას მოითხოვდა, ისე, რომ წამითაც არ დაფიქრებულან, პირნათლად, უსიტყვოდ და უშფოთველად მოიხადეს კაცური ვალი.

ასეთი იყო მაშინ ოცი წლის ჭაბუკების ცხოვრების წესი. ასეთი რწმენით დაამთავრა ვახტანგ ლეჟავამ 1940 წლის გაზაფხულზე თბილისის მერვე საშუალო სკოლა.

მუსიკალური ნიჭი ბავშვობიდან დაჰყვა: კარგად მღეროდა, ვიოლინოზეც უკრავდა, მაგრამ, რაკი გულით სპორტსმენი იყო, თანატოლების მსგავსად ტანვარჯიშზე დადიოდა, ცურავდა, ჩოგბურთს თამაშობდა.

სწავლის გაგრძელების დრო რომ დადგა, სპორტის სიყვარულმა გადასძლია და გამოცდები საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩააბარა. ერთი წელიც არ დასცალდა — ომმა გეგმები შეუცვალა.

თუმცა გეგმებზე ფიქრის დრო აღარც იყო, ქვეყანას შველა სჭირდებოდა და ვახტანგმა, ისე როგორც ბევრმა მისმა თანატოლმა, ფრონტზე წასვლა გადაწყვიტა. მაგრამ ასე პაიჭარად, მოუმზადებლად, იმ მძიმე პერიოდშიც კი ბიჭებს ფრონტზე არ გზავნიდნენ. მოხალისენი გამოცდილების მისაღებად ჯერ სამხედრო სასწავლებელში გაანწესეს.



მერე საბრძოლო ნათლობის დღეც დადგა — ახლად ულვაშაყრილი ბიჭები ამ დღის მოსვლას მოუთმენლად ელოდნენ. ნაღმსატყორცნი ოცეულის მეთაურმა პირველი საბრძოლო ვალი სტალინგრადის გმირულ კედლებთან მოიხადა. უფრო დიდი სკოლა მეომარს სად უნდა გაევლო? სტალინგრადი ომის დროსაც და ომის მერეც ვაჟკაცობის მთავარ საზომად იყო მიჩნეული.

ოცეული, რომელსაც ვახტანგ ლეჟავა მეთაურობდა, ყველა ბრძოლაში სამაგალითო იყო. მტრის მოჭარბებული ძალების შემოტევას ყველაზე უწინ რომ მოიგერიებდა, შეტევაზეც პირველი მიდიოდა. ოცეულს საიმედო მეთაური ჰყავდა. ოცეულს სჯეროდა მისი და ამაყობდა კიდეც თავისი მეთაურით. დნეპრის ფორსირებისა და დნეპროპეტროვსკის განთავისუფლებისათვის მეომართა დიდ ჯგუფს მთავრობის ჯილდოები გადასცეს, ზოგიერთმა კი უმაღლესი მთავარსარდლის მადლობა დაიმსახურა. ვახტანგი ამ უკანასკნელთა რიცხვში იყო.

ომი გრძელდებოდა, მძიმე, მომქანცველი ომი. ოცეული წინ მიიწევდა, ბრძოლით, მსხვერპლით, დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც გზას ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო საზღვრისაკენ მიიკვლევდა. სწორედ დროსთან შეჯიბრებაში მიუსწრო ვახტანგ ლეჟავას ოცეულს საბედისწერო ალყამ. ამ უთანაბრო ბრძოლამ იმსხვერპლა მეთაური და მისი სახელოვანი თანამებრძოლების სიცოცხლე.

ისინი სულ ახალგაზრდები იყვნენ, ქართველი და რუსი, სომეხი და უკრაინელი მეომრები... სიცოცხლე უყვარდათ და გამარჯვების წუთების ხილვა ეჩქარებოდათ. ახალგაზრდები იყვნენ და სიკვდილზე არ ფიქრობდნენ. ან კი რატომ უნდა ეფიქრათ, როცა სიკვდილზე მაღლა იდგნენ. აკი საქმითაც დაამტკიცეს ეს — როცა სიცოცხლის გაწირვა გარდაუვალი გახდა, წამით არ დაფიქრებულან, იცოდნენ, რომ ნანატრი ჟამი მსხვერპლის გარეშე არ მოვიდოდა.

გმირობას კიდევ ერთი აუცილებელი კანონი ჰქონია — მსხვერპლის გაღება. ოღონდ ცოდვაა, როცა სამსხვერპლოზე ოცი წლის ყმაწვილებს ხედავ. ვახტანგ ლეჟავას გმირობა ჭეშმარიტად მაგიური ძალისა გამოდგა. ამიტომ იყო, რომ 1944 წლის 13 სექტემბრის ბრძანებულებით გვარდიის ლეიტენანტს ვახტანგ აკაკის ძე ლეჟავას სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ნოდარ ახვლედიანი.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი გამარჯვ წლისთავი საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის ვითარებაში აღნ ზეიმი აბა რის ზეიმია, ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა გამოს და შეჯიბრებებმა თუ არ დაამშვენა. დღეს თბილისის სპორტულ ბზე, საცხოვრებელ ადგილებში, მოედნებზე და ქუჩებში, კულტურ დასვენების პარკებში, სასწავლებლებში, ყველგან, სადაც ხარ ხარული სუფევს, მრავალფეროვანი სპორტული ასპარეზობები თება. შეჯიბრებები, რომლებსაც დედაქალაქის სპორტკომიტეტი ლვანელობს, თბილისის ყველა რაიონში ჩატარდება.

გთავაზობთ პროგრამას:

სპორტი — ზეიმის თანამგზავრი

კალინინის რაიონი. მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკი: მძლეოსნური კროსი; სიმძიმეების აწევა; ერთდროული სეანსი ჭადრაკში. დასაწყისი 12 საათზე.

ლენინის რაიონი. მძლეოსნური ამანათრბენი ხუთწლედის ქუჩიდან კიკვიძის პარკამდე (11). კიკვიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი: ფრენბურთი; მაგიდის ჩოგბურთი; პარაშუტით ხტომა; ქართული ჭიდაობა; ჭადრაკი (11).

26 კომისრის რაიონი. რიყის ტერიტორია: ქართული ჭიდაობა; მინი-ფეხბურთი; ბადმინტონი; ბაგირის გადაძალვა; სიმძიმეების აწევა (9).

ოქტომბრის რაიონი. სპორტული მოედანი ორჯონიკიძის ქუჩაზე (№ 38): ფეხბურთი; სიმძიმეების აწევა; ბაგირის გადაძალვა (16).

საბურთალოს რაიონი. სპორტული მოედანი მიცკევიჩის ქუჩაზე (№ 25): მინი-ფეხბურთი (12); გმირთა მოედანი — სპორტის სასახლე მძლეოსნური კროსი (11). სპორტის სასახლის ტერიტორია: სიმძიმეების აწევა; ბაგირის გადაძალვა (11).

გლდანის რაიონი. „სინათლის" სტადიონი: ფეხბურთი; რბენები; ხელყუმბარის ტყორცნა მიკრორაიონის სპორტულ ანი: ფეხბურთი; ფრენბ ლათბურთი; ღერძზე მიზნ

კიროვის რაიონი. 153-ე სკოლის სპორტული მოედ ლესელიძის სახელობის თამაშება ფეხბურთში (1 არაგველის ობელისკის ტერ მძლეოსნური ამანათრბენ

პირველი მაისის რაიონ ნიკიძის სახელობის კულტ დასვენების პარკი: მინი-ფ თი; ბაგირის გადაძალვა; ს ბის აწევა; ერთდროული სეანსი ჭადრაკში; ქართულ ობა; საბავშვო ველოსი ჯიბრება; კრივი; რბენა მ ნძილზე (15).

საქარხნო რაიონი. ღი სახელობის საავიაციო სტადიონი: ფეხბურთი; ბა; მაგიდის ჩოგბურთი; გადაძალვა; მშდ კომპლ ველჭიდი; ქართული ჭიდა

ორჯონიკიძის რაიონი. ნთა პარკი: ფეხბურთი; ფ თი; მაგიდის ჩოგბურთი (1 ფშაველას VI კვარტალის ული მოედანი: ფეხბურთი (

ლეგენდა, რომელ გვერდით ცხოვრო

ომში ბევრი უსამართლობა ხდება, მაგრამ მაშინ, ფაქტიურად, ომი აღარც იყო. ფაშისტურმა გერმანიამ უკვე ხელი მოაწერა კაპიტულაციას და თუ ევროპაში აქა-იქ მაინც ისმოდა აფეთქების ხმები, ეს გარდასულ დღეთა უსიამოვნო გამოძახილს უფრო ჰგავდა — დამარცხებული და განადგურებული მოძალადის ბოლო გაბრძოლებას.

ნანატრი გაზაფხულის დღეები იდგა, როცა სადღაც შორს, მტრის ტერიტორიაზე, ომის შემდგომი მყუდროება აფეთქების ხმამ დაარღვია. ეს იყო საბედისწერო და ბრმა შემთხვევა, რომელმაც ალექსი ჩხეიძის ცხოვრების გზა ერთბაშად შეცვალა და შემობრუნა. მრავალ ჭირგამოვლილმა და ომგადახდილმა მებრძოლმა იმ დღეს ორივე ხელის მტევანი და მხედველობა დაკარგა, უფრო მოგვიანებით, თექვსმეტი წლის შემდეგ კი — სმენაც.

ჯერ კიდევ გუშინ სიცოცხლით სავსე იყო, შინ დაბრუნებასა და მშვიდობიან ცხოვრებაზე ოცნებობდა. გუშინ გამარჯვების სიხარულით იყო მთვრალი და თავს ბედნიერ კაცად თვლიდა, რომ ამ გამარჯვებაში მასაც მიუძღოდა წვლილი. გუშინ სულ სხვა კაცი გახლდათ, სხვა საფიქრალს ფიქრობდა, სხვა გეგმები ჰქონდა. და აი, ერთ დღეში ფერი წაიშალა.

თუმცა, რატომ წაიშალ სიცოცხლე ნამდვილი სიყვ უყვარს, ვისაც სწამს და ს ასეთ დროსაც კი შეუ რად დარჩეს. ასეთ კაცზე გენდებს თხზავენ ხოლმე. რობის ამბებს ქვეყანას მაგრამ წუთით წარმო რა სულიერი სიმტკიცე ცობაა საჭირო, კაცმა ამგვ ელი რომ მოიხვეჭოს...

ფეხბურთს, როგორც ყვ ლისელი ბიჭი, ბავშვობი შობდა. მერე „შევარდე ვანეს და, როგორც პერსპ ფეხბურთელს, ადგილი ცვაში მიუჩინეს. ერთ მაჩ ზუსტი გადაცემის შემდეგ გამარჯვება მოიპოვა. ალ იძეს ყველაზე კარგად ეს ახსოვს. იმ დღეს ომი გამ

...მეთეკლასელები სამხე მისარიატის კარებთან შე ყვნენ. ერთმანეთს უმ თორემ ფრონტზე წასვლა გადაწყვეტილი ჰქონდა. ალ თზე ორი წლით უმცროსი გაწვევაზე, ცხადია, უარი წყენა რომ შეატყო, სამხედ მისარმა დაუყვავა: შენისთა ჯვე ბიჭებმა ჯერ ზურგში არგოთო,

მან, არსება მისი გრძელია

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ოცი წლისა იყო, ცხოვრებამ პირველი სერიოზული გამოცდა რომ მოეწყო... ცხენმა უმუხთლა და სამუდამოდ დაუზიანდა მარცხენა იდაყვის სახსარი. მსოფლიო ჩემპიონობაზე ოცნებობდა, ექიმებმა კი საერთოდ აუკრძალეს ჭიდაობა. კარგა ხანს არ გაჰკარებია სარბიელს, ოფიციალურ შეჯიბრებებს გაერიდა, თუმცა თავისთვის ვარჯიშობდა, სხეულს იკაჟებდა. სულიც ფოლადივით ნაწრთობი ჰქონდა. კვლავ საჭიდაოდ გაუწია გულმა. დაუშალეს: რას შვრები, ხელი მოსაჭრელი გაგიხდებაო. ის კი თავისას არ იშლიდა... სამ წელიწადში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა.

საჭიდაო ხალიჩაზეც, ბრძოლის ველზეც



Ეს არნახული სპორტული გმირობა იყო. შალვა ჩიხლაძემ საკუთარ თავსაც აჯობა და მეტოქეებსაც; „ცალხელა ჩემპიონად“, „რკინის ადამიანად“ მონათლეს. ძალა მართლაც სამი კაცისა ჰქონდა, კლდესავით იდგა მეტოქეთა პირისპირ, ბეჭგანიერი და კუნთებად ჩამოსხმული. არსენ მეკოკიშვილი მოგვიანებით იტყვის: „შალვა ჩიხლაძეს დიდი ხანია ვიცნობ, გასაოცარი ძალის პატრონია. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მსოფლიო ჭიდაობის ისტორიას აქამდე არ ახსოვს ასეთი ღონიერი ათლეტი“.

ბავშვობიდან ვარჯიშობდა. დღე ისე როგორ გავიდოდა, ფეხბურთი არ ეთამაშა, რიონზე არ ჩასულიყო საბანაოდ. მერე ორძელი, გირები, ველოსიპედი, ცხენით ნავარდი... მოუსინჯავი არაფერი დარჩა. ერთხანს „მორჟობა“ შემოვიდა მოდაში — შუა ზამთარში რიონში ბანაობდა, აივანზე ეძინა. მურდულივით სწრაფი, ჯანმაგარი ბიჭი დადგა. მისი ათლეტური აღნაგობა ქუჩაში ხალხის ყურადღებას იქცევდა. ამბობდნენ, გოლიათი იზრდებაო. ხერხი ბევრი არაფერი იცოდა, მაგრამ ჭიდაობაში მოზრდილებსაც ჯაბნიდა. ნამდვილი ფალავნების ჭიდაობა თოთხმეტი წლისამ ნახა: „ერთი ამხანაგი მყავდა, სერიოჟა ხელიძე. მითხრა, ცირკში ფრანგული ჭიდაობაა დანიშნული და წავიდეთო. წავედი და ძალიან მომეწონა, ქვარიანი, მაჩაბელი, კანდელაკი... ჭიდაობის ვირტუოზები იყვნენ“. ის დღე იყო და, უფრო უმატა ვარჯიშს, თავს არ ზოგავდა, ახალ „მეთოდებს“ იგონებდა. ბოლოს გიორგი ქავთარაძის ჯგუფში მოხვდა, იქიდან კი ვახტანგ კუხიანიძემ თბილისში მოიწვია. სწორედ იმ პერიოდში მიიღო ხელის ტრავმა. თითქოს დიდი მწვერვალების დასაპყრობად გამზადებულ არწივს ფრთა მოატეხესო. გაუჭირდა, როგორ არ გაუჭირდა, მაგრამ გაუძლო ამ გამოცდას, იმდენი ქნა, თითქმის გამხმარი ხელი „გააცოცხლა“, ვაჟკაცურად დაუხვდა ბედისწერას.

...1935 წელს „კლასიკოსთა“ საკავშირო ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა, ერთი წლის შემდეგ — პირველი. ასე დაიწყო შალვა ჩიხლაძის დიდი და ხანგრძლივი სპორტული გზა. იგი ცხრამეტი (!) საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეა, ოთხჯერ ჩემპიონი იყო, შვიდჯერ — პრიზიორი. ოქროს მედალი მეორედ 1946 წელს მოიპოვა — ათი წლის შემდეგ დაიბრუნა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული! ამ წლებს შორის დიდი სამამულო ომის მძიმე დღეებია მოქცეული. შალვა ჩიხლაძე ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც ომის პირველი დღეებიდანვე ჩაიცვა ჯარისკაცის ფარაჯა.

— ომი რომ დაიწყო, მოსკოვში ვცხოვრობდი, — იხსენებს ახლა ბატონი შალვა, — მოტომსროლელთა განსაკუთრებული დანიშნულების რაზმში მოვხვდი. დედაქალაქის მისადგომებთან ვიდექით, სანგრებს ვთხრიდით, დაცვის ხაზზე ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებს ვაწყობდით, მტრის დასახვედრად ვემზადებოდით... ორმოცდაერთის შვიდ ნოემბერს წითელ მოედანზე გამართულ სამხედრო პარადში ვმონაწილეობდი. არასოდეს დამავიწყდება ის დღე, უმაღლესი მთავარსარდლის შთამბეჭდავი სიტყვა... ნოემბრის შუა რიცხვებში გერმანელებმა განაახლეს მოსკოვზე თავდასხმის ოპერაციები. ვოლგა-მოსკოვის არხში მტრის შემოტევის შესაჩერებლად მასირებული წინაღობების მოწყობა გადაწყდა. ჩვენი ჯგუფი ქალაქ კლინის რაიონში გაგზავნეს, მახსოვს, სუსხიანი დღე იყო. რაც უფრო ვუახლოვდებოდით ფრონტის ხაზს, ჩვენი კოლონის წინსვლა მით უფრო ფერხდებოდა. ცას მტრის თვითმფრინავები სერავდნენ... მიწა მოყინული იყო და მუშაობა ძალზე ჭირდა. მაინც შევასრულეთ დავალება, მაგრამ მტრის ერთ-ერთი საჰაერო თავდასხმისას დაგვეღუპა ასეულის მეთაური ალექსეი მალცევი, მძიმედ დაიჭრა უფროსი ლეიტენანტი მიხაილოვი. დაჭრილი ხელში ავიყვანე, სწრაფად გავიარე დათოვლილი მინდორი, იქ სანიტარული ავტომანქანა იცდიდა... რამდენი საუკეთესო მებრძოლი და მეგობარი დავკარგეთ. მეც ბევრჯერ ჩავხედე სიკვდილს თვალებში. ერთხელ სოფელ მაკლაკთან სადაზვერვო ოპერაციის დროს მარცხენა წინამხარში დავიჭერი, ძველი ტრავმა გამირთულდა, ტკივილისაგან თვალთ მიბნელდებოდა, მაგრამ სულის მოთქმის დრო სად იყო... თითქმის ნახევარი ასეული დაგვეღუპა მაშინ. გადარჩენილებმა უახლოეს სოფელს შევაფარეთ თავი...

იქიდან შალვა ჩიხლაძე რიაზანის ჰოსპიტალში მოხვდა. კარგა ხანს ამ ჰოსპიტალში დარჩა, შემდეგ თბილისში დაბრუნდა, მკურნალობდა. მერე და მერე ვარჯიშიც დაიწყო. სპორტს, ჭიდაობას, ეგრე იოლად ვერ შეელეოდა. 1944 წელს საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვება, იმავე წელს მოსკოვს გაემგზავრა და სპორტსაზოგადოება „დინამოში“ გააგრძელა ვარჯიში. ომი დამთავრდა. შალვა ახლა კიდევ უფრო გატაცებით ვარჯიშობდა, სპორტულ დარბაზში ალამებდა და ათენებდა... როგორც ვთქვით, 1946 წელს მეორედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, შემდეგ — მესამედ, მეოთხედ, საერთაშორისო ტურნირებშიც ბევრჯერ გამოიჩინა თავი... შემდეგ იყო ჰელსინკის ოლიმპიური თამაშები. შალვა ჩიხლაძემ ზედიზედ დაამარცხა მეტოქეები და ფინალში მასპინძელთა გუნდის წევრს გრენდალს შეხვდა. ორთაბრძოლა ფრედ დამთავრდა, მსაჯებმა ნახევარსაათიანი თათბირის შემდეგ გამარჯვება ფინელს მიაკუთვნეს... ადგილობრივმა გაზეთებმა ქართველი ფალავანი „უგვირგვინო ჩემპიონად“ მონათლეს... იმ წელიწადს შალვას ორმოცი წელი შეუსრულდა.

... ამ რამდენიმე ხნის წინათ ომგადახდილ ფალავნებზე დოკუმენტური ფილმი გადაიღეს. ეს არის საგანგებო ფილმი გამორჩეულ ჩემპიონებზე. შალვა ჩიხლაძე აღმოჩნდა ერთ-ერთი იმ ოთხთაგან, ვინც ომამდეც და ომის შემდგომ წლებშიც შეძლო საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვების მოპოვება. ფილმის გადაღების დღეებში საბჭოთა კავშირის გმირი, ცნობილი მწერალი ვლადიმერ კარპოვი თბილისში ჩამოვიდა, შალვა ჩიხლაძის სპორტულ და საბრძოლო ბიოგრაფიას გაეცნო. სწორედ კარპოვის სიტყვებია: „არიან ადამიანები, რომელთა სახელები უთუოდ უნდა შევუნახოთ შთამომავლობას. ასეთი ადამიანია შალვა ჩიხლაძე, კაცი, რომელიც ნამდვილი გმირი იყო. საჭიდაო ხალიჩაზეც და ბრძოლის ველზეც“.

ელგუჯა ბერიშვილი.

ვენს

ავე დღეს კიროვის სახელობის
ამშენებელ ქარხანას მიაშურა.
დან უფრო ახლოს ჩანდა ფრო-
ალექსის ავტომანქანებში ორ-
ცილოგრამიანი ყუმბარების და-
რთვა დაავალეს. თვითონ ორმ-
კილოგრამსაც არ იწონიდა, ამი-
ეს საქმე დიდად ეამაყებოდა.
სით ქარხანაში დადიოდა — უფ-
ებს გვერდში ედგა, საღამოობით
ლობდა და თავისუფალ დროს
ჯიშობდა.
ანც ვერ მოისვენა და 1943
კომკავშირული საგზურით შა-
ზღვის ფლოტილიის უმცროს
ურთა სკოლაში ჩაირიცხა.
როდესაც იგი ფლოტი-
ამი მზვერავად აკურთ-
უკვე ჩამოყალიბებული კაცი
სპორტული წრთობაც გამოა-
ყველა მძიმე დავალებას მას
ობდნენ: ხან ყინულივით ცივ
ლში საათობით ყელამდე ჩამა-
ლი მტრის ნაწილების გადაჯგუ-
ბას ალნუსხავდა, ხან გემებისთ-
მარჯვე გასასვლელს პოულობ-
დესანტის გადასხმისას, როგ-
ც წესი, მუდამ პირველი იყო.
თხელ მოტოციკლით მტრის მან-
ას ჩაუდევნა და გერმანელი გენე-
ლ-მაიორიც დაატყვევა. მეორედ
ფლანგით მიცურდა მტრის ტრან-
რტთან და ააფეთქა იგი. ალექ-
ჩხეიძემ სულ მალე გაითქვა სა-

ხელი, როგორც მოუხელთებელმა და გაბედულმა მზვერავმა...

იმ საბედისწერო აფეთქების შემდეგ დაჭრილი და გონებადაკარგული მებრძოლი ოდესის ჰოსპიტალში დააწვინეს. მის გადარჩენას არავინ ფიქრობდა, მაგრამ ცოცხალი დარჩა. მერე ბევრჯერ უთქვამს: უბედურებას კი არ უნდა შეურიგდეს კაცი, პირიქით, უნდა აჯობოსო. შეიძლება ვინმემ იფიქროს, ეგ სათქმელად არის ადვილიო, მაგრამ... თუ კაცი ამ რწმენით ცხოვრობს, იმასაც უსათუოდ მიაღწევს.

ესეც გმირობაა, მე თუ მკითხავთ, გმირობაზე მეტიც. სოფელ დანკაში (სერპუხოვის მახლობლად), სადაც ვალმოხდილი მეომარი ამჟამად ცხოვრობს, უამრავი სტუმარი და მნახველი ჩადის. არც გასაკვირია: ცოცხალი ლეგენდის ნახვა ყველას უნდა.

აქტიური ცხოვრება ჩემი ყველაზე დიდი სიხარულიაო, ამბობს ხოლმე და გჯერათ, რომ მართლაც ასეა. იგი ყოველდღე ვარჯიშობს, ფეხით დადის, მნახველებს იღებს და ისტუმრებს. მერე საათობით კარნახობს თავებს ავტობიოგრაფიული წიგნიდან „დუნაის მზვერავის ჩანაწერები“, რომელშიც აღწერილია სამამულო ომში საბჭოთა მეომრების უმაგალითო გმირობის ამბები. ავტორის ჩანაფიქრით, ეს წიგნი თავისებური მიმართვა იქნება ახალგაზრდობისადმი: როგორ უნდა ისწავლონ, როგორ უნდა იშრომონ და როგორ უნდა იბრძოლონ მამულისათვის. ალექსი ჩხეიძის მთელი ცხოვრება ამ მოწოდების ნათელი და კათილშობილური მაგალითია.

ნოდარ ბუზუზვილი.

კაცი მაშინ ხარ ბედნიერი

როცა ახლობელ-მეგობართა და ნათესავ-მოყვარეთა გარდა სხვაც დაგაფასებს. ხალხი დაგაფასებს. ამგვარი, სიყვარული და აღიარება ჭეშმარიტ მამულიშვილთა ხვედრია და არცთუ იოლი მისაღწევია.

...შავი ზღვის პირას ქართველი სპორტსმენები ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილი საკავშირო პარადისთვის ემზადებოდნენ. რასაკვირველია, იქ იყო ოთარ დიდებულიძეც — ცნობილი მოფარიკავე, საქართველოს ჩემპიონი, სპორტის ოსტატი... მაგრამ იმ წელიწადს ფიზკულტურელთა პარადი არ გამართულა. ომი დაიწყო და ოთარმაც სხვა თანატოლებთან ერთად ფრონტს მიაშურა სამშობლოს დასაცავად, მამულის გადასარჩენად. უმძიმესი განსაცდელის დღეებში დიდებაზე საოცნებოდ ვის ეცალა. ქართველი სპორტსმენი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა მეომარი, მხოლოდ თავის წმინდა მამულიშვილურ ვალს იხდიდა. კავკასიონიდან ბრძოლებით გაიარა მრავალი ქალაქი, სოფელი, ქვეყანა: ყუბანი, დონი, დნეპრი, კიევი, ბილბაუმი, პოზნანი, ბერლინი... ქართველმა მეომარმა სახელოვნად იარა ამ ცეცხლიან გზებზე, თავი არ დაუზოგავს თავისი ხალხისათვის, თავისი დიდი სამშობლოსათვის...

ქართველმა ჭაბუკმა პოლონეთის მიწა-წყალზეც ისახელა თავი სიმამაცით, ვაჟკაცობით, დამპყრობლებთან დაუნდობელი ბრძოლით. პოლონელმა ხალხმა სიყვარულითვე უპასუხა. საბჭოთა მეომარი ლოძის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს და პოლონეთის ერთ-ერთი უმთავრესი ორდენით — გრიუნვალდის ორდენით დააჯილდოვეს.

...სპორტი მარტო სხეულს როდი აწრთობს, იგი, პირველ ყოვლისა, სიკეთეს, ერთგულებას, ქვეყნისთვის თავდადებას გვასწავლის. ოთარ დიდებულიძის ყველა გმირობას, მის ყოველ ომახიან შეძახილსა და მტერთან შებმას სპორტული წრთობის კვალიც აჩნდა. ყველა საბრძოლო დავალება პირნათლად შეასრულა, გაიღო ყველაფერი, რისი გაღებაც შეეძლო და ვალმოხდილი დაუბრუნდა თავის ხალხს. დაუბრუნდა და ისევ საყვარელი საქმის სამსახურში ჩადგა. ომგადახდილმა აქაც გამოიჩინა თავი — სანაქებო სპორტსმენები აღზარდა, მრავალ ჭაბუკს შეაყვარა ფარიკაობა — სპორტის ეს ულამაზესი სახეობა. ორმა მისმა მოსწავლემ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა ჭაბუკთა შორის.

...კაცი მაშინ ხარ ბედნიერი, როცა ახლობელ-მეგობართა და ნათესავ-მოყვარეთა გარდა სხვაც დაგაფასებს, ხალხი დაგაფასებს. ოთარ დიდებულიძეს სწორედ ასეთი ბედნიერება ხვდა წილად.

ბედნიერება არ მოკლებოდეს ამ ვალმოხდილ ადამიანს და მის დიდსა და ნათელ ოჯახს.

დავით შელიძე.



მუხლები მძლეოსნისაო!

ეს „შეჯიბრება" გუშინდელივით ახსოვს: დეკემბრის სუსხიან ღამეს, მაშხალებით განათებულ თოვლიან მინდორზე ორი გერმანელი ჯარისკაცი გარბოდა. მათ უკან ახალგაზრდა საბჭოთა ოფიცერი მისდევდა. მანძილი სწრაფად მცირდებოდა. ბექობის გადაღმა ჩასაფრებული გერმანელები ცეცხლის წვიმას უშენდნენ ჩვენს ოფიცერსა და მის უკან, კარგა მანძილით ჩამორჩენილ საბჭოთა მზვერავთა ჯგუფს, მაგრამ მეომრებს ჯერჯერობით ბექობი იცავდა... იმ ორი გერმანელიდან ერთ-ერთმა მეორეს გაასწრო, ბორცვს მიაღწია და ეტყობა თავი გადარჩენილი ეგონა, რომ თავისიანებმა მოცელეს. მისმა ამხანაგმა ეს ვერ შენიშნა და სირბილს განაგრძობდა. ცოტაც და მასაც იგივე ბედი ელოდა, ამას კი ჩვენი ოფიცერი ვერ დაუშვებდა. გაუგონარი ამბავი ხდებოდა — საბჭოთა ლეიტენანტი ფაშისტი ჯარისკაცის გადასარჩენად გარბოდა. სანტიმენტალობა აქ არაფერ შუაში იყო — ჩვენებს მოენე სჭირდებოდათ, ერთადერთი იმედი კი სწორედ მტრის გაქცეული ჯარისკაცი გახლდათ... ოფიცერმა „საფინიშო სისწრაფე" ჩართო, ისე, როგორც ომის წინ, მძლეოსანთა შეჯიბრების დროს სჩვეოდა, გერმანელს სწორედ ბექობის ძირში წამოეწია და გასაფრთხილებლად ავტომატი ააკაკანა. გაქცეული მიწაზე განერთხო და წინააღმდეგობის გაწევა არც უფიქრია, სეტყვასავით დააყარა: „ჰიტლერ კაპუტ, ჰიტლერ კაპუტ". მალე მზვერავებიც მოცვივდნენ. ტყვემ, რაკილა მიხვდა, მიფრთხილდებიანო, სიხარულისაგან მათ ხელებზე კოცნაც კი დაუწყო...

ასე შეასრულეს ქართველმა ოფიცერმა ვლადიმერ სამსონაძემ და მისმა მეომრებმა ერთ-ერთი უძნელესი დავალება. მთელი ორი თვე იყვნენ ჩასაფრებული საბჭოთა მეომრები დონის მარჯვენა ნაპირზე, ნიჟნი მამონის ახლოს, და გარღვევისათვის ნიადაგს ამზადებდნენ. საქმემ ისე მოიტანა, რომ მოენე აუცილებელი გახდა, მაგრამ დანაღმული ველით, ეკლიანი მავთულხლართებითა და საცეცხლე დოტებით გარშემორტყმული გერმანელთა პოზიცია მიუვალი ჩანდა. ზედიზედ ხელმოცარული ბრუნდებოდნენ ან ვეღარ ბრუნდებოდნენ დავალებიდან ჩვენი მზვერავები. მსროლელთა 415-ე პოლკში, სადაც სამსონაძე მსახურობდა, თვით არმიის დაზვერვის უფროსი ჩავიდა. იგი მოენეს უცდიდა...

პოლკის უფროსი სოლდატენკო უკვე მერამდენედ ისმენდა მეავტომატეთა ასეულის უფროსის ვლადიმერ სამსონაძის თხოვნას, მე მომანდეთ მოენის შეპყრობაო. გამოცდილ მეთაურს არ უნდოდა ასეთი სახიფათო დავალების შესასრულებლად მეავტომატეთა ჯგუფი გაეშვა, მაგრამ რაკი სხვა გამოსავალი არ ჩანდა, ბოლოს მაინც დასთანხმდა.

მეორე ღამეს პოდპოლკოვნიკ სოლდატენკოს მაგიდაზე ედო მტრის პოზიციის დეტალური ანალიზი და მოენის შეპყრობის გულდასმით გაანგარიშებული გეგმა. მეორე ღამეს კი 13 მზვერავი და ორი მესანგრე დავალების შესასრულებლად მზად იყო. „რატომ ცამეტი?" — იკითხა პოლკოვნიკმა. „1913 წლის 13 მარტს ვარ დაბადებული, — უპასუხა სამსონაძემ — კარგად მაქვს დაცდილი..."

დანაღმული ველი უხიფათოდ გაიარეს (ორი მენაღმე „ხტუნია" ნაღმებს თერმოსით წამოღებულ წყალს ასხამდა და ნაღმები მყისვე ყინულის ლოლუებად იქცეოდა), მავთულხლართებიც გაჭრეს და გეგმის მიხედვით, დოტებს ზურგიდან მოუარეს. ის იყო, ყველაზე ღონიერი მებრძოლი გერმანელთა გუშაგს უნდა დასცემოდა თავს (დანარჩენებს ხელყუმბარებით დოტები უნდა აეფეთქებინათ), რომ მოულოდნელად დოტებს მტრის მანქანა მოადგა—ჯარისკაცების ახალი ჯგუფი მოიყვანა. მზვერავები იძულებული გახდნენ ხელყუმბარები დაგეგმილზე ადრე ეხმარათ. რამდენიმე წუთში არც ერთი გერმანელი ცოცხალი აღარ იყო. მაგრამ მთავარი დავალება — მოენის შეპყრობა — შეუსრულებელი რჩებოდა. უცებ ძელმიწურიდან ორი გერმანელი გამოვარდა და მინდორში გაიქცა. ქართველი ოფიცერი წუთით არ შეყოყმანებულა, მტერს გაედევნა...

მოენე სწორედ ის გამოდგა, რასაც ეძებდნენ — ყბედი კაპრალი, რომელმაც საკმაოდ ბევრი რამ იცოდა. სულ მოკლე ხანში გერმანელთა პოზიციას საბჭოთა არტილერიის ცეცხლი დაატყდა — გარღვევა დაიწყო...

ომი რომ დაიწყო, მოსკოვის მწვრთნელთა უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული ვლადიმერ სამსონაძე თბილისში ახალგახსნილი ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრას ხელმძღვანელობდა. ახალგაზრდა კაცისთვის ესოდენ საპასუხისმგებლო საქმე შემთხვევით არ ჩაუბარებიათ. მას უკვე კარგად იცნობდნენ როგორც სპორტსმენს და როგორც მწვრთნელს. 1938 წელს საქართველოს მოსწავლე მძლეოსანთა ნაკრებმა, რომელიც გერტრუდა მაიერმა, კონსტანტინე მალიშკოვმა და ვლადიმერ სამსონაძემ მოამზადეს, დიდი წარმატებით იასპარეზა საკავშირო სარბიელზე. ჩვენმა სპორტსმენებმა უმცროს ასაკობრივ ჯგუფში პირველი, ხოლო უფროსებში მეოთხე ადგილი დაიკავეს, 30 საპრიზო ადგილი მოიპოვეს და ჭაბუკთა ხუთი საკავშირო რეკორდი დაამყარეს. სხვათა შორის, ორი რეკორდი — ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაში შემდგომ ბრწყინვალე კალათბურთელს ოთარ კორქიას ეკუთვნოდა.

სამსონაძეს, როგორც კათედრის გამგეს, შეეძლო ფრონტზე არ წასულიყო, მაგრამ მან სხვაგვარად გადაწყვიტა: ჩემი ნაცნობი და მეგობარი ყველა წავიდა, მე შინ რა გამაჩერებდაო... ვლადიმერმა თელავის ფეხოსანთა სკოლა დაამთავრა და ფრონტზე გაგზავნეს.

415-ე პოლკის მეავტომატეთა ასეულის უფროსად ვლადიმერ სამსონაძე ცოტა უჩვეულო გარემოებაში დაინიშნა. ასეთი ასეულები მაშინ, 1942 წლის გაზაფხულზე ყალიბდებოდა და მეთაურებს საგანგებოდ არჩევდნენ. პოლკის მეთაურმა, სიმამაცით ცნობილმა სოლდატენკომ, რომელიც ადრე ესპანეთში იბრძოდა, სიას გადახედა და მაშინვე სამსონაძის გვარი გამოარჩია. „იცი რატომ ამოგირჩიე? — შეეკითხა ქართველ ლეიტენანტს, — ესპანეთში ერთმა ქართველმა, — გვარად კიკნაძემ (ვლადიმერს ასე დაამახსოვრდა, — გ. ჩ.) სიცოცხლეს გადამარჩინა, ამიტომ ქართველებს პატივს ვცემ"... პოლკის მეთაურმა ისიც გაითვალისწინა, რომ ახალგაზრდა ოფიცერს უკვე კარგი გამოცდილება ჰქონდა მიღებული, დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მედლებით.

გუმანმა გაუმართლა მრავალნაცად მეომარს — ქართველი ლეიტენანტი მართლაც მისი მარჯვენა ხელი გახდა. სამსონაძემ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი იმავე ნიჟნი მამონთან, სტრატეგიული სიმაღლის აღებისას...

დონის ნაპირას, ერთ მაღალ ბორცვზე ჩვენი ორი ასეული იყო ჩასაფრებული, ოციოდე მეტრის დაშორებით ორი დაჭრილი საბჭოთა ჯარისკაცის გმინვა ისმოდა. დაჭრილები შველას ითხოვდნენ, მაგრამ ის პატარა მინდორი მთლიანად გერმანელების ცეცხლის ქვეშ იყო მოქცეული და თავის წამოწევა სიკვდილს ნიშნავდა. მეომრები კარგად იცნობდნენ თავიანთ მეთაურს და იცოდნენ, რომ იგი გასაჭირში მყოფთ არ მიატოვებდა, მეთაურმა ცოტა ხანს იფიქრა, მაგრამ ჯარისკაცები ვერ გაიმეტა და თვითონ გაიქცა დაჭრილებისკენ. სირბილით კი, როგორც ადრე მოგახსენეთ, შესანიშნავად დარბოდა (სპორტსაზოგადოება „მოლნიას" ჩემპიონი იყო 800 მეტრზე რბენაში). ძველ სპორტსმენს არც ძალა აკლდა — დაჭრილებს გიმნასტურაში ჩაავლო ხელები და უკან, თავისიანებისკენ გამოათრია. ირგვლივ ტყვიის წვიმა იყო. როცა ვლადიმერმა თავისიანებს მიაღწია, ერთი დაჭრილი მტრის ტყვიას უკვე გაეთავებინა, მეორე კი გადარჩა. მეთაურის მაგალითი გადამდებია, სამსონაძის საქციელით მეომრები გამხნევდნენ და წარმატებით მოიგერიეს მტრის კონტრშეტევა. ყველაზე ღია საცეცხლე პოზიციაზე ტყვიამფრქვევთან კი თვით მეთაური ჩაწოლილიყო და მოწინააღმდეგეს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა.

თვითონ ვლადიმერ სამსონაძეს თავის ერთ-ერთ საუკეთესო ოპერაციად მიაჩნია ბოგუჩარის რაიონში მტრის სათვალთვალო პუნქტის აღება. მის საკმაოდ შეთხელებულ ნაწილს რეზერვში გზავნიდნენ შესავსებად, მაგრამ წასვლამდე ერთი დავალება მისცეს: მის ასეულს, 18 მეომარს, როგორმე უნდა აეღო სიმაღლე, რომელსაც 156 გერმანელი და იტალიელი ჯარისკაცი იცავდა. ასეული კვლავ მეთაურის შესანიშნავად მოფიქრებულმა გეგმამ გადაარჩინა. მტერი არხეინად ადევნებდა თვალს მისკენ ფართოდ და გაშლილად მიმავალ მეომართა ჯგუფს და ეტყობა, მისი დამარცხება იოლ საქმედ მიაჩნდა. ტაფობმა რამდენიმე წუთით დაფარა საბჭოთა მეომრები, შემდეგ კი ისევ გამოჩნდნენ. ისევ ფართოდ გაშლილად მოდიოდნენ, თუმცა მათი რიცხვი საგრძნობლად შემცირებულიყო — გამჭრიახმა მეთაურმა ტაფობით ისარგებლა და ოცი კაცი გაგზავნა, რომ მტრისთვის ჩუმად მოევლო ზურგიდან. სწორედ იმ ოცეულმა გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. გერმანელები და იტალიელები პანიკამ მოიცვა, ეგონათ, სხვა ნაწილებიც გვიტევენო და თავგზა დაებნათ. ოპერაციის შედეგი ბრწყინვალე იყო: ცოცხალი გადარჩა მხოლოდ მტრის 38 ტყვედ ჩავარდნილი ჯარისკაცი, ხოლო ჩვენებს 9 კაცი დაეღუპათ. როდესაც გერმანელთა ოპტიკურ ხელსაწყოებში ჩავიხედე, — იგონებს ვლადიმერ სამსონაძე — მივხვდი, რატომ უჭირდათ იმ რაიონში წინ წასვლა ჩვენი ჯარის ნაწილებს — მთელი მინდორი 40 კილომეტრის მანძილზე ხელისგულივით ჩანდა".

ძველ სპორტსმენსა და მწვრთნელს ბედმა არგუნა მონაწილეობა მიეღო სტალინგრადის ეპოპეაში. მართალია, ალყის შემორტყმაში უშუალოდ არ მონაწილეობდა, მაგრამ სხვებთან ერთად გადაუღობა გზა პაულიუსის დასახმარებლად კავკასიიდან გამოძახებულ მანშტეინის არმიას.

ვლადიმერ სამსონაძე 1942 წლის მიწურულს, სადგურ მილეროვოსთან გამართულ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა.

დაჭრილი მალე უფაში გადაიყვანეს, სადაც ცხრა თვე საწოლს იყო მიჯაჭვული.

დამთავრდა ომი და ვალმოხდილი მეომარი კვლავ საყვარელ საქმიანობას, ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდას დაუბრუნდა. იგი ცხრა წელიწადს ხელმძღვანელობდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრას. 1954-63 წლებში, ქართული სპორტის აღმავლობის პერიოდში, ვლადიმერ სამსონაძე საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა და თავისი წვლილი შეჰქონდა წარმატებაში. შემდგომ კვლავ ცხრა წლის განმავლობაში, ფიზკულტურის ინსტიტუტს ედგა სათავეში. იგი ახლა ფიზკულტურის ტექნიკუმში უწინდებური ხალისითა და მონდომებით ემსახურება ახალგაზრდა სპეციალისტთა აღზრდის საქმეს, ჩვეული ენერგიით მუშაობს მძლეოსნობის რესპუბლიკურ ფედერაციაშიც, სადაც იგი თავმჯდომარის მოადგილეა.

გიორგი ჩოჩიშვილი.

კომპოზიციის მესაიდუმლე

მართლაც საოცარი ძალა აქვს ჭადრაკს — მის საიდუმლოებას ერთხელ ნაზიარები კაცი მთელი ცხოვრება ამ ბრძნული თამაშის ერთგულ თაყვანისმცემლად რჩება. ასე მოიტანა დღემდე ჭადრაკის უსაზღვრო სიყვარული რევაზ თავარიანმა. მაშინაც, როცა ყველაზე მეტად უჭირდა, ჭადრაკის გახსენება, ჭადრაკის სამყაროში გონებით მოგზაურობა უამებდა ტკივილს, იარებს უშუშებდა.

1941-1944 წლები რევაზ თავარიანმა სამამულო ომის ფრონტებზე, მოქმედ არმიაში გაატარა. ორჯერ დაიჭრა, ბოლოს — ბელორუსიაში. მისი ჯარისკაცური ღვაწლი სამამულო ომის II ხარისხის, საბრძოლო დიდების III ხარისხის ორდენებითა და შვიდი მედლით აღინიშნა. ჭადრაკი, როგორც ვთქვით, არასოდეს დავიწყებია, ჰოსპიტალში ამოცანებსაც კი თხზავდა.

აი, უკვე ოთხი ათეული წელია რევაზ თავარიანი საჭადრაკო კომპოზიციას ემსახურება. ადგენს ამოცანებს, ეტიუდებს, მონაწილეობს კონკურსებში, იღვწის ქართველ მოჭადრაკეთა წარმატებებისთვის, — როგორც საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ჭადრაკში. დღეს იგი ცნობილი საჭადრაკო კომპოზიტორია, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. მალე გამოვა მისი ამოცანებისა და ეტიუდების პირველი კრებული „ფანტაზია 64 უჯრაზე".

დიადი გამარჯვების 40 წლისთავს რევაზ თავარიანი ახალი ნაწარმოებით ხვდება. თავის ამ ახალ ამოცანას იგი სახელოვან იუბილეს უძღვნის.

ვუსურვოთ ომის ვეტერანს, ღვაწლმოსილ კომპოზიტორს დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა და შემოქმედებითი სიხარული!

თენგიზ გიორგაძე.



შამათი სამ სვლაში

მშვიდობის XXXVIII ველორბოლა

გუშინ პრაღაში სტარტი აიღო მშვიდობის XXXVIII ველორბოლამ, რომელიც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების სახელოვან იუბილეს ეძღვნება. ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში თავი მოიყარეს პლანეტის უძლიერესმა ველომრბოლელებმა. ასპარეზობა დაიწყო 6-კილომეტრიანი პროლოგით პრაღის იმ ქუჩებში, სადაც 40 წლის წინ განმათავისუფლებელი საბჭოთა არმიის ტანკებმა გაიარეს. სტარტი საბჭოთა ტანკისტთა მოედანზე მოეწყო.

ასპარეზობაში ჩაება 22 გუნდის 132 მრბოლელი. წინ არის საინტერესო ბრძოლის 1714 კილომეტრი, 12 ეტაპი. შეჯიბრების ფინიში 22 მაისს მოეწყობა ბერლინში.

ელვა-ინფორმაცია

მშვიდობის ველორბოლის 6-კილომეტრიანი პროლოგი მოიგო პოლონელმა სპორტსმენმა ლეხ პიასეცკიმ — 10.18. ფინიშთან მეორე იყო უვე ამპლერი (გდრ) — 10.25. საბჭოთა ველომრბოლელებიდან საუკეთესო შედეგი ჰქონდა პიოტრ უგრიუმოვს — 10.27. გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდა გდრ-ის ნაკრები, რომელსაც საბჭოთა გუნდი 2 წამით ჩამორჩება.

გუშინ საღამოს მშვიდობის ველორბოლის მონაწილეებმა აეროფლოტის თვითმფრინავებით გეზი მოსკოვისაკენ აიღეს. აქ ასპარეზობის პირველი სამი ეტაპი ჩატარდება.

48

გთავაზობთ სსრ კავშირის 48-ე საფეხბურთო ჩემპიონატის X ტურის სტატისტიკურ მონაცემებს:

„ქაირათი" — ასკ (დონის როსტოვი) 1:0 (1:0). ბურთი მე-3 წუთზე გაიტანა შოხმა.

გააფრთხილეს როსტოველი ფეხბურთელი შინკარიოვი.

დუბლიორები — 2:2.

„დინამო" (კიევი) — „ქალგირისი" 3:0 (1:0). ბურთები გაიტანეს ბელანოვმა, ბლოხინმა (პენალტი) და მიხაილიჩენკომ.

გააფრთხილეს „ჟალგირისის" მეკარე იურკუსი.

დუბლიორები — 1:0.

„მეტალისტი" (ხარკოვი) — „დინამო" (მინსკი) 1:1 (1:1). დაწინაურდნენ მასპინძლები (შევჩენკო), ხოლო საპასუხო ბურთი გურინოვიჩმა გაიტანა.

გააფრთხილეს მინსკელი ფეხბურთელი შიშკინი.

დუბლიორები — 2:1.

„ტორპედო" (მოსკოვი) — „ფაკელი" 2:0 (2:0). ბურთები გაიტანეს სუსლოპაროვმა და პეტრაკოვმა.

გააფრთხილეს „ფაკელის" ფეხბურთელი მურაშკინცევი.

დუბლიორები — 1:0.

„ჩერნომორეცი" — „ზენიტი" 0:0.

გააფრთხილეს ოდესელი მოროზოვი და ლენინგრადელი კომაროვი.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ — ა. მილჩენკო, გ. გაბისკირია, ბ. ჩერნიახოვსკი (ყველა — სოხუმი).

დუბლიორები — 0:1.

„დნეპრი" — „სპარტაკი" 0:0.

გააფრთხილეს სპარტაკელი ბუბნოვი.

დუბლიორები — 1:5.

● **ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირთა სიას ლიდერობენ ბაქოელი ი. პონომარიოვი და ვილნიუსელი ს. იაკუბაუსკასი, რომლებმაც 6-6 ბურთი გაიტანეს. დნეპროპეტროვსკელი ო. ტარანის ანგარიშზეა 5 გოლი.

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 12 მაისს.

რედაქტორი ა. გოგელია.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. № 14
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
წერილების განყოფილება — 93-97-56
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

ჩვენი ინდექსი 68425

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 06055